ხელშეკრულება №311
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(მომსახურების შესყიდვა)
დაფინანსების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი

ქ.გორი 25 სექტემბერი 2018 წ.

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო (ს/კ:418471031) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ **გიორგი ქვათაძის** სახით (შემდგომში–შემსყიდველი) და მეორეს მხრივ **შპს „ CONFERENS GROUP LTD" (ს/კ:217892396)** (შემდგომში–მიმწოდებელი) წარმოდგენილი მერაბ გოხელაშვილის სახით ვხელმძღვანელობთ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ,,სახელმწიფო შესყიდვების'' შესახებ, **გამარტივებული შესყიდვების საშუალებით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულებას) შემდგომზე:**

1.ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს **2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით – 2018 წლის 30 სექტემბერს ჩანიშნული ღონისძიებისთვის „გორის დღე 2018"-ზე ქალაქის ცენტრში გამართული კულტურული ღონისძიების გაშუქების მიზნით ქალაქის ცენტრში მონიტორის დამონტაჟებისა და დემონტაჟის მომსახურების შესყიდვა**

2.შესყიდვის ობიექტი: CPV-51310000 - რადიო, ტელე და ვიდეოაპარატურის მონტაჟი, 51312000 - ტელეაპარატურის მონტაჟი.

2.1 დაფინანსების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი, 2018 წელი.

3.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება **ეროვნულ ვალუტაში (ლარი).**

3.2შესყიდვის ობიექტის სართო ღირებულება არის 2000 (ორიათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

3.3**დღგ-ს ჩათვლით,** საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა **- 2018 წლის 30 სექტემბერი**

5.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: **ქ.გორი, ლოკაცია არის ქალაქის ცენტრი, ღიაცისქვეშ გამართული ღონისძიება.**

5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება **ეროვნულ ვალუტაში (ლარი).**

7.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება **უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.**

7.3მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის ანგარიშფაქტურისა, სასაწონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7.4მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

7.5**მ**იმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან და შესაბამისი საგადახდო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან **არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.**

8.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1.შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის **სრული** დაცვით.

8.2.შემსყიდველს უფლება აქვს: განახორციელოს კონტროლი და **ზედამხედველობა** მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

8.3.შემსყიდველი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

8.4.მიმწოდებელს უფლება აქვს :მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.5.მიმწოდებელი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების **0,02 %** ის ოდენობით.

10.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს **2018 წლის 31 ოქტომბერი.**

11.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

12 ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშორის მოლაპარაკებისას ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ხოლო მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. საქონლის მიღება-ჩაბარებას, ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ცენტრის დირექტორის მ/შ გიორგი ქვათაძე.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს
კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **ორ** ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი მიმწოდებელთან, ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა	შპს „ CONFERENS GROUP LTD"
და ტურიზმის ხელშეწყობის განვითარების სააგენტო	ს/კ: :217892396)
მის: ქ, გორი, სტალის №16	ბანკი: სს „ საქართველოს ბანკი"
ს/კ:418471031	ბანკის კოდი: BAGAGE22
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ა/ა: GE16BG0000000755046000
ბ/ნ: TRESGE22	მის: ქ.თბილისი, პოლიტკოვსკაიას №9ა
საზაზინო ანგარიში: 3504100000	ტელ: 595070070
დირექტორის მ/შ	შპს „ CONFERENS GROUP LTD"
გიორგი ქვათაძე	მერაბ გიგიელ[illegible]ილი